გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
[illegible]	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 8 ივლისი

წინა წერილში მოვიხსენიეთ, რომ 1884 წ. ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა წარუდგინა გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებას წერილი და იმ წერილში ხელ-ახლად აღძრა დაგირავებულის მამულის გაუსყიდველობის ამბავი. ამ სახით კვლავ მკვდრეთით აღადგინა ის, რაც თვითონვე 1867 წ. დაჰმარხა და რაც თვითვე «въ виду очевидной основательности опасенія уничтожить капиталъ», მაშინ უარ ჰყო და არ გააჭაჭანა თავის პროექტებში. ხოლო ეს 1884 წ. წერილი მარტო ამ მხრით არ არის შესანიშნავი. ამ წერილშია გამოთქმული ზოგიერთი იმისთანა აზრები, რომელსაც ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი დღეს აღარ იხსენიებს. ჩვენი ისტორია ბ-ნ ყიფიანის აზრთა ცვალებადობისა სავსე არ იქნება, რომ ეს წერილი არ გავარჩიოთ.

ამ წერილში ბ-ნი ყიფიანი სხვათა შორის ბძანებს: ჩვენ გვინდოდაო ჩვენს ბანკს ყოველივე ის ემოქმედნა, რის ნება „პრიკაზსა“ ჰქონდაო.[1]) დღეს ამას სრულებითაც აღარ ახსენებს ბ-ნი ყიფიანი, თითქო ეს აზრი ისე უცაბედად იყო მაშინ გამოთქმული და თითქო როგორც უცაბედად თქმული დღეს მოსატანი აღარ არის. ჩვენც დავეთანხმებით.

იმავ წერილში გამოთქმულია ბ-ნ ყიფიანის მიერ სურვილი, რომ ეხლანდელი წესი დათვასებისა შეცვლილი იყოს და ამ დათვასებას ახალი საფუძველი დაედვას. ბ-ნი ყიფიანი იქიდამ იწყებს ამ ახალის საფუძვლის მოძღვრებას, რომ, გლეხთა განთავისუფლების კანონთა მიხედვით, მებატონეს არ უნდა დარჩეს მამული ნაკლებ იმისა, რაც გლეხთა საკომლოდ ერგოთ; და ამის შემდეგ ბძანებს:

> „Если по уставной грамотѣ получается, примѣрно 1,000 руб. доходъ, то это служитъ вѣрнымъ указаніемъ по крайнѣй мѣрѣ на такой-же доходъ съ остальной, свободной части имѣнія,—значитъ стоимость такого имѣнія, по разъ установленной сложности $16\frac{2}{3}$, должна быть принята въ суммѣ около 33,000 руб.

რომ ეს საფუძველი დათვასებისა მისაღები არ არის, ეგ იმითი უნდა მტკიცდებოდეს, რომ თვითონ ბ-ნი დიმიტრი ყიფიანი დღეს მაგას აღარ ჰქადაგობს და თუ აქ მოვიყვანეთ,—ეგ მარტო იმისათვის მოგვივიდა, რომ ეს შემდეგი აზრი ბ-ნის ყიფიანისა გაგვეგო.

> „Въ такомъ случаѣ, ბძანებს ბ-ნი ყიფიანი: банкъ могъ выдать въ ссуду около 16,000 руб. т. е. такую ссуду, которую можно погасить, внося ежегодно около 800 руб. (5%), менѣе половины всего дохода“.

ეს 5%-ი დაიხსომეთ, მერე გამოგვადგება და ეხლა კი ეს ვიკითხოთ აქა: როგორ მოგწონთ ანგარიში?... აღარც სარგებელი-სამატი, აღარც ბანკის ხარჯი, აღარც გირავნობის ფურცლების სარგებელი, ერთის სიტყვით, სხვა არაფერი. ამ ანგარიშით 5%-ით მარტო თავნი უნდა დაიბრუნოს ბანკმა და რითღა იმოქმედოს, რითღა დააკმაყოფილოს ფულის პატრონი, სად იშოვოს და ვისგან უსარგებლოდ ფული—ყოველივე ეს მეტია ბანკისათვის, რომ იზრუნოს!...

ამავე დალაგებულ ანგარიშით გამოჰყავს ბ-ნ ყიფიანს, რომ ეხლანდელის ბანკის 240,000 მანათი ძირის ფული 100,000 მანათზედ მეტს მოგებას შემოიტანს ყოველ წლივ. იქნება ეს დაუჯერებელი ანგარიში არ დაიჯეროთ და აი ამის საბუთიცა:

> „Такъ какъ банкъ могъ производить операцію вдесятеро больше основнаго капитала (240,000 руб.), то ежегодныя по этимъ операціямъ приращенія можно было ожидать свыше 100,000 руб. (5%).“

აბა და სასწაულთ მოქმედება ეს არის: მანათმა ათი შაური მოგება უნდა მოგვცეთ ყოველ წლივ, ბ-ნ ყიფიანის აზრით. აღარ იკითხავთ: ეს გაათკეცება ძირის ფულისა, რომლის მანქანებით უნდა მოხდეს? თვითონ ძირის ფული თავის-თავად იბარტყებს? ნუ თუ თავის-თავად ერთი-ათად იქცევა ტრიალში? არ ვიცით ამაზედ რა პასუხს მოგვცემენ და ჩვენ კი მოგახსენებთ, რომ ტფილისის საადგილ-მამულო ბანკს ნება აქვს, რაც ძირის ფული აქვს, ათი იმოდენა ფული ისესხოს და ის ატრიალოს. საადგილ-მამულო ბანკი ამას სჩადის გირავნობის ფურცლების შემწეობით. ეს გირავნობის ფურცლები ბანკის ვექსილებია. ამ ვექსილებით ბანკი გადის ფულის ბაზარში და ვინც ენდობა, იმისაგან ფულსა სესხულობს. ამ სახით 240,000 მანეთიანს ტფილისის ბანკს, ვსთქვათ, 2,400,000 მანეთის სესხობის ნება აქვს კანონითა[2]). ფულს, რა თქმა უნდა, უსარგებლოდ არავინ ასესხებს, სარგებელი, ბ-ნ დიმიტრი ყიფიანისამებრაც რომ ასზედ ხუთი ჩავაგდოთ, მაინც გამოვა, რომ ის სასურველად მოჩვენებული 100,000 მანათი, რომელიც ბ-ნმა ყიფიანმა თამამად საყოველ-წლიო მოგებად დაგვიქადა, არამც თუ მოგება იქნება, არც კი ეყოფა, რომ ნასესხის სარგებელი მაინც გაისტუმროს: ერთი 20,000 მანათის დაყრა კიდევ მოუნდება ბანკსა თავის ჯიბიდამ და თვითონ თავნსა და ბანკის ხარჯსა ვიღა ჩივის: ჩაილუღლის წყალი უნდა დალიოს.

ამ სახით გამოდის, რომ ის უცნაური მოგება, რომელიც ბ-ნ ყიფიანს წარმოუდგენია, ტყუილად გაღვიძებული მადაა. თუნდ ეგეც არ იყოს, ვის გაუგონია, რომ 5%-ად გასესხებულმა ფულმა ასზედ ორმოც-და-ათი მოიგოს და არა მარტო ხუთი? ეს რომელი ანგარიშია!..

ამასაც თავი დავანებოთ: ზევით ხომ მოიხსენია ბ-ნმა ყიფიანმა, რომ 5%-ით თავნი გადიხდებაო, აქ კიდევ ბძანებს, რომ იგივე 5%-ი 240,000 მანეთზედ 100,000 მანეთს მოგებას მოგვცემსო ყოველ წლივ,—გამოდის რომ ერთი და იგივე 5%-ით ბ-ნი ყიფიანი თავნსაც გვაშორებს და მანეთზედ ათს შაურს მოგებასაც გვაძლევს ყოველ წლივ. მეტი რა გინდათ, ვისაც თქმა და ქმნა ერთი და იგივე გგონიათ. ვინც ასე ანგარიშობს, იმისათვის შეუძლებელი აღარაფერი არ უნდა იყოს

---

[1]) „хотѣли допустить у себя всѣ операціи, которыя производилъ Приказъ Общ. Призрѣнія.“ ამბობს ბ-ნი ყიფიანი.

[2]) მარტო 1,600,000 მანეთის ნება კი ჰქონდა ტფილისის ბანკსა.

ფელეტონი

ჟარდენი საქართველოში

(შემდეგი*)

IV

ოქტომბრის 1-ს საბათარი დაბრუნდა უკან და თან მოიყვანა ოსმალები თავის ციხის და მთლად თავის მამულის მცველად. ის მრთელი ღამე ზეზე იყო და აგროვებდა ძღვენს, რომელიც უნდა მიერთმია. მან აცნობა ყველას, ვინც კი შეხიზნული იყო მის ციხეში, რომ ოსმალებმა დაუყენეს მათ მცველნი და მის სამაგიეროდ ოც-და-ხუთი მონა და რვა-ასი ეკიუ უნდა გაიღონ. მან ეს ყველაფერი მოკრიფა იმათგან, ვინც მის ციხეში იყო შეხიზნული. ყველა ოჯახიდამ, საცა ოთხი ბავში იყო, ერთი გამოართვა. ძრიელ საცოდავი სანახავი იყო, როცა საწყალ ბავშვებს ჰგლეჯდნენ დედებს ხელიდამ, გადააბამდნენ ორ-ორს ერთმანერთზედ და მიჰყავდათ ოსმალებთან. მე ოცი ეკიუ გამომართვეს.

შეგროვებულის ხარჯიდამ საბათარმა ფაშის ლეიტენანტს მარტო ის მიართო, რასაც დაპირებული იყო; დანარჩენი თითონ აიღო. როდესაც ნახეს, რომ წავიდა საბათარი და წაიყვანა თან თავისი უმცროსი შვილი, იმის ცოლებს, იმის ყმაწვილებს და მთელ ციხეს ქრიამული შეუდგათ. ყმაწვილები, რომელთაც ოსმალებს მძევლად აძლევენ, მერე მონებათა ხდებიან იგინი, რა კი ხელში ჩაუვარდებათ, თავის დღეში ველარ დეეხწევიან ოსმალოს ხელიდამ. იგინი ჩვეულებისამებრ სტამბოლში მიჰყავთ ლამაზის ყმაწვილების რიცხვის გასამრავლებლად და სერალში ინახავენ. ფაშის ლეიტენანტმა მიიღო ძღვენი, მძევლები და საბათარიც თავისთან დაიპირა. ლეიტენანტმა სამჯერ მისცა დადიანს წინადადება დაჰმორჩილებოდა, მაგრამ მთავარი არ დაჰმორჩილდა. მისი ციხე კარგად იყო დაცული სვანების მიერ, რომელნიც მის ვეზირს მოეყვანა და რომელნიც უფრო მეტად ბატონობდნენ, ვიდრე თვით დადიანი. ვეზირი ყოველ-დღე უთვლიდა, რომ გამაგრებულიყო და მეც მზადა ვარ მტერს თავს დაეესხაო. ოსმალებმა რუხის ციხის წინ ოთხი დღე დაჰყვეს, შეიპყრეს ორი ათასზედ მეტი ტყვე, აიღეს მრავალი დავლა და ბოლოს გაბრუნდნენ უკან. ოსმალებს არტილერია არა ჰქონდათ და ამან დაუშალა ციხეზედ იერიშის მიტანა. მათ წაიყვანეს თან სამეგრელოს ყველა კეთილ-შობილები, რომელნიც დეემორჩილნენ და რომელთაც შეჰფიცეს ახალ მთავარს. კათოლიკოზი შეფიცულთა შორის იყო; ფაშამ ბრძანა დეენიშნათ კათოლიკოზი ახალის მთავრის ვეზირად, გეეგზავნათ მის სახელით აფხაზეთის მთავართან და ეთხოვნათ მთავრისთვის ცოლად აფხაზეთის მთავრის ქალი.

ეგონათ ოსმალების მოსვლა სამეგრელოში დაამყარებდა წესიერებას, ჩამოაგდებდა მშვიდობას და იარაღს დაადებინებდა. ეს სრულებითაც ასე არ მოხდა. ისინი მოვიდნენ, აიკლეს მხარე და ჩააგდეს ქვეყანა უფრო დიდ არეულობაში, ვიდრე წინად იყო. გაჰყვეს იგი ორ ნაწილად. ერთი ნაწილი ფიცის და მძევლების მიცემის გამო იძულებული იყო ახალის მთავრის მხარე დეეჭირა, ხოლო მეორე დარჩა მომხრე და მორჩილი ძველის მთავრისა. ამ განხეთქილებამ იძულებულ ჰყო ყველას იარაღი აეღო ხელში რადგან ეხედავდი ამისთანა უბედურ ყოფას, რომელიც ესე შორს იყო მშვიდობიანობაზე, გადავსწყვიტე წავსულიყავ საქართველოში, როგორც უნდა ყოფილიყო და რა გაჭირებაც უნდა მენახა. მე იმდენი უბედურება მაწყდებოდა თავზედ სამეგრელოში ყოველ დღე, რომ ეჭვი არა მქონდა, ეს უბედურებანი მალე მომიღებდნენ ბოლოს. ლევანი ემუქროდა ციხეების, ქონების და მამულების აკლებას იმ მებატონეებს, რომელნიც დაჰმორჩილდნენ ოსმალებს. საბათარი ჯერ ისევ ოსმალებთან იყო; მისი შვილები, რომელნიც ბრძანებლობდნენ მის ციხეში, დიდი ავაზაკები და საშინელი დაუნდობლები იყვნენ. ყოველ დღე ჯავრი და უხორავობა მკლავდა. დიდი საქმე იყო ერთი მუჭა ღომისა და ერთის გირვანქა ხორცის ყიდვა. მე ჩემ ქოხში ისე ვითმენდი ყოველგვარ ავდარს, როგორც ტრიალ მინდორზედ. ჩემის მსახურების სასოწარკვეთილება ძრიელ მამძიმებდა. ერთის სიტყვით, ჯავრით აღარ ვიყავ. ამან მაიძულა მეხმარა ყოველი ღონის-ძიება გავსულიყავ სამეგრელოდამ, ვიდრე კიდევ მქონდა შეძლება. ყველგან მოვაძებნინე ყულაოზები; ავუთქვი, ვეხვეწე, ვაძლიე—ვერაფერი ვერ გავხდი, არავინ არ ისურვა გამომყოლოდა და ამას მეუბნებოდნენ: იმერეთის ყველა გასავლები ჯარებს უჭირავთ, და სიგიჟე იქმნება თავის ნებით იქ მისვლა, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ იქ ტყვედ ჩავცვივითო. ამ პასუხს მაძლევდა ყველა. მე განვიზრახე მომევლო ან კავკასიის მთებით, ან შავის ზღვის ნაპირით: მაინც არავინ არ ისურვა გამოყოლა.

ვერ დაიჯერებთ როგორ ეშინიანთ მეგრელებს სიკვდილისა და წახდენისა. რაც უნდა მცირედი განსაცდელი იყოს, ვერა საყიდელით ვერ იძულებულ ჰყოფთ მეგრელს შეჰბედოს. ბოლოს მე იძულებული შევიქენ ამერჩია გზა ზღვით და ოსმალეთით, ე. ი. მომევლო 70 ეჯი. მე წაველი ანარგიაში. ეს ანარგია სოფელია და მცირე ნავთ-სადგური. იქ ვპოვე თათრის ფილუკა და ვიქირავე გონიაში წასასვლელად. მივეცი თუ არა ბე, დავბრუნდი ტეატინების სახლში და საბათარის ციხეში, რომ მოვმზადებულვიყავ სამგზავროდ.

ჩემ ამხანაგს მოველაპარაკე მასზედ, თუ რა ოსტატობას ეხმარობ მის გასაყვანად სამეგრელოდამ, თუ ღმერთი ინებებდა და მშვიდობით მგზავრობას მომცემდა, და ნოემბრის 10-ს კარგა ადრე გამოვედი ციხიდამ. მე წავიღე თან ასი ათასი ლივრის ფასი ძვირფასი ქვები, რვა ასი პისტოლი ოქრო და მცირე ბარგი, რაც კი გადამრჩენოდა. ძვირფასი ქვები ჩატანებული მქონდა ერთს ბალიშში და უნაგირში, რომელიც განზრახ იყო თვლების დასამალავად გაკეთებული. თან წავიყვანე ერთი მსახურთაგანი, რომელიც მყავნდა გამოსყიდული ტყვეობიდამ. ეს ერთი მცბიერი და მუხთალი კაცი იყო, მისი სიბოროტე მე კარგად არ ვიცოდი. არ მირჩევდნენ იმის წაყვანას, რადგან ეშინოდათ არ ეწყენინებინა და რამე ცუდი არ შეემთხვია ჩემთვის მე თვითონაც არა მქონდა ნამდვილად გადაწყვეტილი მისი წაყვანა, მაგრამ იღბალმა ისე მოიტანა, რომ წავიყვანე. მიზეზი, რის გამოც წავიყვანე ის და არა სხვა, ის

---

*) იხილე „ივერია“ № 134.

ბანკის საქმეში. ეს ყველაფერი 1884 წლის ამბავია. ეხლა ამაებზედ ბ-ნი ყიფიანი აღარას ბძანებს. მას აქედ ორი წელიწადი გავიდა, ყველაფერს ამას თავი დაანება და ეხლა სულ სხვას ითხოვს.

ხოლო ჩვენ ეს საქმით მოკლე და სიტყვით გძელი ისტორია იმიტომ გავაბით, რომ გვეჩვენებინა როგორ მოქმედობდა ბ ნ ყიფიანის აზრი და სურვილი დროთა განმავალობაში, რა სიმტკიცე აქვს მის აზრს და სურვილს ბანკის საქმეში და თვით ბ-ნი ყიფიანი რა გვარს გარკვეულს და ცხადს გზაზედა მდგარა წინად, როცა ბანკის საქმე მის ხელთ იყო და დგას დღეს, როცა მის ხელთ აღარ არის.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის მე-9 ნაწილშიაც გაუთავებიათ კამერალური აღწერა. ამ აღწერიდამ სჩანს, რომ ზემოხსენებულ ნაწილში მცხოვრებლები სულ 8,707 სულია, ამათში 4,804 მამათა სქესისაა და 3,903 დედათა სქესისა.

⁂ გუშინწინ, ორშაბათს საღამოს 8—9 საათზე ხალხი შეჯგუფულიყო და ამბობდნენ, რომ ვიღაც დამთვრალმა სასამართლოს მოხელემ ყიფიანმა ქარვასლის ქვეშ მყოფ სამიკიტნოს პატრონს ხანჯალი შემოჰკრაო. ხანჯალი ორს ალაგას დაურტყავს, მაჯაში და მხარშიო. დაშავებულისთვის შემწეობა აღმოუჩენიათ და დამნაშავე კი პოლიციელთ დაუტუსაღებიათ.

⁂ ჩრდილოეთ კავკასიაში რამდენიმე გაზეთი გამოდიოდა: „Кубань“ ეკატერინოდარში, „Терекъ“ ვლადიკავკაზში და „Сѣверный Кавказъ“-ი სტავროპოლში. „Кубань„-ი და «Терекъ»-ი თითქმის უკვე მოსპობილნი არიან. ეხლა გაზ. «კავკაზის» სიტყვით «Сѣв. Кав »-იც ისპობაო. ამ გაზეთის მოსპობისა, თუ დროებით შეყენების მიზეზი შეძლების უქონლობააო. მაგალითებრ, შარშან შემოსავალი 2,709 მან. და 30 კაპ. ყოფილა და ხარჯი 5,325 მან და 40 კაპეიკამდე ასულა ხელის-მომწერთა დასაკმაყოფილებლად რედაქციას განუზრახავს „სხვა-და-სხვა თხზულებათა კრებული“ გამოსცეს, ან რამდენისამე ხნის შემდეგ კვლავ დაიწყოს გამოცემა ზოგიერთა პირთა შემწეობით, რომელნიც უანგარო შემწეობას დაჰპირებიან. ეს გაზეთი კვირაში ორჯელ გამოდიოდა.

⁂ შუადღის 4 საათი დადგება თუ არა და ცხარე მზე გაახურებს დედა-მიწას, სასიამოვნო სურათს წარმოადგენს მტკვრის ორივე მხარე. ათ-ათობით ბიჭები შეკრებილან—12 წლიდგან 18—19 წლამდე და ერთი ამბავი გააქვთ წყალში. ზოგი მალაყებს გადადის, ზოგნი ერთი-ერთმანეთს ეჯიბრებიან და იქამდე თავდავიწყებაში შედიან, რომ ცოტა აკლია ან წისქვილის ჩარხმა, ან შუაწყლის მორევმა ჩაითრიოს. ამას ყურადღება უნდა მიექცეს და საჭიროა ქალაქის გამგეობამ ამ მობანავეთათვის ცალკედ შემოფიცროს, რომ დარჩობის შიში აღარ იყოს ამ ბოლოს დროს ისეთაც მეტად გახშირდა დარჩობის მაგალითები. ქალაქის გამგეობას ეტყობა ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია და განუზრახავს ორი საშველებელი ნავი გამართოს წყალში ჩავარდნილთათვის. ამ ჟამად ტფილისში მხოლოდ ერთად-ერთი ამ გვარი ნავი არსებობს ვაჭრის დოლანოვისა, რომელსაც თავისის ხარჯითა აქვს გამართული. გამგეობას თავისი ორი ნავი დოლანოვის ნავს ქვემოდგანა და ზემოდგან უნდა იქონიოს. ამასთან მეტი არ იქნებოდა გამგეობას ზემოხსენებული ფიცრულიც გაეკეთებინა, როგორც საბანაოა გამართული, რომელშიაც ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ ვინმე დამრჩვალიყოს.

⁂ შაბათს, 5 ივლისს მე-2 განყოფილების სასამართლოში ირჩეოდა ოსმალეთის ქვეშევრდომის გურელის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ თათრული ყალბი ვერცხლის ფული ეხურდავებინა. თურმე შევიდოდა რომელსამე დუქანში, იყიდდა ერთი-ორის აბაზის რასმეს და ახურდავებდა თათრულ ვერცხლის ფულს 1 მან. 40 კაპ. ღირსებისას მანათად ბევრნი მოატყუილა თურმე. სხვათა-შორის მედუქნემ შახმურადოვმა სუდში ილაპარაკა, როგორც მოეტყუებინა გურელსა. მეორემ—ბაყალმა გიგო ვართანოვმა სთქვა თურმე: რომ როდესაც ფული გამასინჯა, რაღაცა ეჭვი შემეპარა სიყალბისა და პოლიციაში წავიყვანეო. იქ გაჩხრიკეს გურელი და ორი კიდევ იმისთანავე სხვა ფული უპოვნესო. ფულები მაშინვე გამოართვეს, საქმე სასამართლოს გარდასცეს და გურელი კი დაატუსაღესო. სასამართლოში ბრალდებულმა თავისი თავი დამნაშავედ არ იცნო და იმითი მართლულობდა თავსა, რომ მე თითონ შემომაპარეს ეგ ფულები, როდესაც ბათუმში ვაჭრობდიო. ივანე გურელი ახალ-გაზდა კაცია, ლამაზის შეხედულობისა და სულ 22 წლისა იქმნებაო. აქამდე მაჰმადიანი ყოფილა და ეხლა-ხან მიუღია მართლ-მადიდებელი სარწმუნოება. დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ორი ახალ გაზდა მორთული ქალი საქმის გარჩევას. ერთი მათგანი, როგორც პოლიციის შეკრებილის ცნობებიდამ სჩანს, ყოველთვის უკან დასდევდა გურელს მის ხანგრძლივს მოგზაურობის დროს რუსეთში და ოსმალეთში. ერთხელ ეს ზემოხსენებული ქალი ტრაპიზონის გზაზე ვაჟის ტანისამოსითა მოგზაურობდა თურმე. სასამართლომ გურელს სატუსაღო გარდაუწყვიტა. (გაზ „ახ. მიმოხ.“)

⁂ დუშეთის მაზრის სოფ. კობიდგან შემდეგს ამბავსა გვწერენ: კობელმა გლეხმა (ოსმა) დუდა ზაქაევმა წარსულ 1885 ს წელში თავისი ქალი ეფინია მიათხოვა მაღრანდოლეთში მცხოვრებელს ნოვე ქანთიევს და სასიძოს ადრევე გამოართვა მორიგებული ფული ხუთი თუმანი (ურვათი);—თავისი ქალი-კი ასე დაარიგა, რომ როდესაც მღვდელმა ჯვარის წერის დროს გკითხოსო, უარი განაცხადე და ჯვარის წერაზე თანახმა არ გახდეო: რასაკვირველია, ქალმა მამის რჩევა და სიტყვა შეასრულა და უარი სთქვა. გაჯავრებულმა სასიძომ სასამართლოს მიჰმართა; ქალის მამამ ზაქაევმა თავისი ქალი ეფენია სხვაზე დანიშნა. ამასაც თავიანთი ჩვეულებრივი ურვათი ათი თუმანი წინათვე გამოართვა და ვადა დაუდო ჯვარის წერისა. ამ ვადაზედ პირველი სასიძოც მოუვიდა, მეორეცა და ერთმანერთში ქალზედ დავა დაიწყეს. პოლიციამ ამას ყურადღება მიაქცია და ადგილობრივი ბოქაული თავის ჩაფრებით მივიდა მშვიდობიანობის დასაცველად. პირველი სასიძო—ჯანთიევი უნდოდათ დაეჭირათ წინაღმდეგობისათვის და თან უნდა წაეყვანათ, მაგრამ სიმამრის სახლში შევარდა და კარზე ველარ გამოიყვანეს, რადგანაც მძლავრი და ღონიერი იყო; დღესაც ეს სასიძოები ამ ქალის მამის კარებზედ დგანან და ორივენი საქორწილოდ და ჯვარის-საწერად არიან შემზადებულნი; პოლიცია კი ნებას არ აძლევს, ვიდრე სამართლით საქმე არ გაირჩევაო. არც ერთი სასიძო აქამდე სირცხვილით სახლში ვერა ბრუნდებაო.

⁂ გორის მაზრიდამ სწერენ გაზ. „ახ. მიმოხ.“ სოფ. კავთის-ხევსა, ვაყასა და ბისიში საქონლის ჭირია გაჩენილი. ცოტა ხნის განმავლობაში ამ სოფლებში 182 საქონელს ჭირი შეჰყრია. ამათში 111 დახოცილა, 19 მორჩენილა და 52 კიდევ ჭირიანიაო.

ჩვენს მაზრაში ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა ყალბი თუმნიანები. სხვათა შორის ამას წინედ რკინისგზის სადგურ გრაკალში ვიღაც არსენ გურგიშვილს ჟანდარმმა ერთი ყალბი ბილეთი გამოართვა და იმანა სთქვა, ჩემმა სოფლელმა მომცაო. გამოძიება სწარმოებს.

ამას წინედ მტკვარში ორი ყმაწვილი დაირჩო: დაბლიშვილი მოსიპე და საფრანგეთის ქვეშევრდომის განტიეს შვილი მიხეილ. დამრჩვალთა გვამი ვერ უპოვნიათ.

მოსავალს ჩვენს მაზრაში კარგი პირი უჩანს, ბოსტნეულობას და ხილეულობასაც კარგი მოსავალი ეტყობა.

⁂ თიონეთიდამ მოუწერიათ: სოფ. მატანში პურზე რაღაც ნაირი მწერი გაჩნდა, რომელთაც ძალიან დიდი ზარალი მოაქვთო, ძალიან ჩქარა ახდენენ მარცვალსაო. ეს მწერი ფერათ შავია, სიცხეში ბალახში იმალებაო და დილა-საღამოს კი თავ-თავს აზისო. ამავე სოფელში რაღაც საქონლის ჭირი გაჩენილა.

შეცდომის გასწორება

გუშინდელს მეთაურს წერილში, მე-4 სვეტზე მე-3 სტრიქონში ქვემოდამ სწერია: „возмѣствъ весь домъ“,—უნდა იყოს: „возмѣсти въ весь долгъ“.

მეორე სვეტში, სხოლიოში რუსულად სწერია: „заслушаемое губернскимъ собраніемъ дворянство“,—უნდა იყოს: „заслушанное губернскимъ собраніемъ дворянства.“

ნაკვესი

ერთმა მოხელემ ი. ვ—მა უთხრა საზოგადოებას:

— მე თქვენი მამა ვარო.

იქ მყოფმა გურულმა წასჩურჩულა ამხანაგს:

— თავის შვილების მამა რომ არ არის, ჩვენი მამა საიდამ იქნებაო.

რ

იყო, რომ თუ იქ დამეგდო, მეშინოდა ვაი თუ გავემხილე სამეგრელოში. მ. ზამპი, ტეატინების პრეფექტი, გამომყვა თან. ერის-კაცთაგანმა ტეატინმაც მოინდომა თან გამოყოლა ანარგიაში. მე და პრეფექტი ფეხით მივდიოდით, რადგან ერთის ცხენის მეტი ვერ ვიშოვეთ ქირით, თუმცა ბევრი ფული ვაძლიეთ ცხენების დასაქირავებლად. ცხენს ავკიდე ბარგი და შევსვი ზედ ჩემი მსახური. ერის-კაცთაგანი ტეატინიც ცხენით იყო. ორი დღე იყო, რაც დაჟინებით სწვიმდა. ციხიდამ ერთ ეჯზედ ერის-კაცთაგანი ტეატინი კინაღამ დაირჩო ერთ განიერ და მოდიდებულ რუში, რომელშიაც ჩავარდა მისი ცხენი და რომლიდამაც დიდის გაჭირებით ამოვათრიეთ თითქმის ნახევრად მკვდარი მხედარი. აღარას ვიტყვი ჩემ დაღალვაზედ იმ დღეს და მეორეცა. მე იძულებული ვიყავი ავდარში ფეხით მევლო რამდენსამე ალაგას ტყეში, რომელიც სავსე იყო გუბეებით და ტალახით. ტალახი ასეთი იყო, რომ მუხლზედ მადგებოდა; მხოლოდ ვიტყვი, რომ არ შეიძლება კაცმა მეტი გაჭირება აიტანოს, რაც მე ავიტანე. მართლა-და, მრთლად დავიქანცე; დამრჩა მხოლოდ მხნეობა და სურვილი არასფერს არ მოვრიდებოდი და ყველაფერი მომეთმინა, ოღონდ კი გადამერჩინა სიმდიდრე, რომელიც მქონდა მე ჩაბარებული. საღამოზედ მივედით ანარგიაში სულ მთლად დალუმპულები. ანარგია ექვს ეჯზედ არის საბათარის ციხიდამ.

12-ს უნდა ხელ-ახლად გზას შევსდგომოდი, მაგრამ მე დამიშალა ეს ერთმა ახალმა გარემოებამ: მოიტანეს ამბავი, რომ ჩერქეზებისა და აფხაზების ნავები დადიან სამეგრელოს ნაპირებზედაო. ეს მართალი გამოდგა: იმათ მეეტაცნათ აქაური ნავები და სხვათა შორის ის ნავიც, რომელიც მინდოდა დამექირავებინა. გამოუთქმელი სევდა, რომელიც ამ ამბავმა მაგრძნობინა, წარმომდინარებდა არა იქიდგან, რომ აქ მომიგვიანდებოდა და ბევრს ავს შევემთხვეოდი, არამედ იმისგან, რომ იმედი მეკარგებოდა, ვაი თუ აქედამ თავის დღეში ვერ დავეხწიო მეთქი.

19-ს აცნობეს მ. ზამპის, რომ წინა-ღამეს შეემტვრიათ მისი ეკკლესიის კარები, წეეღოთ რაც იქ ყოფილიყო, ეხადნათ საფლავი, რომელიც ეკკლესიაში იყო, და წეეღოთ ყველაფერი, რაც სახლის დასაცველად იქ დარჩომილს ტეატინს, როგორც ამბობენ, დეემალა იმ საფლავში; მთლად ეთხარათ იქაურობა და მხოლოდ კედლები-ღა დაეტოვებინათ მრთელი. ადვილად შეიძლება წარმოიდგინოთ რა ელდა მეცა ამ ამბის გაგონებაზედ, რადგან შვიდი-ათას პისტოლზედ მეტი მქონდა ჩაფლული იმ ეკკლესიაში. მაშინვე გავგზავნე კაცი ჩემ ამხანაგთან. ის ციხეში ველარ ეპოვნათ: ტეატინების ბინაზედ წასულიყო იმის გასაგებად, რაც მოგვარგუნა წილად ამ უბედურ შემთხვევამ, რომელიც იმასაც მაშინვე გეეგო, როგორც მე. იმან მომწერა, რომ ღვთის მადლით არ შეჰხებოდნენ ჩვენს ქონებას და ქონება ჩვენი იმ გვარადვე ენახა, როგორც გვქონდა მიწაში ჩაფლული. ამ ამბავმა საკვირველად გამამხნევა. ეს ჩავთვალე ახალ ნიშნად ღვთის ჩემდამო წყალობისა და გავაბედვინე ოსმალოებს, მაქირავეს ფილუკა და მაშინვე ჩემს გზას შევუდექი.

27-ს გავემგზავრე ანარგიიდამ. ჩემი ფილუკა დიდი იყო; იმაში ოც კაცამდინ იყვნენ, ნახევარი მონები და სხვა ოსმალები. მე იმისთვის მივეცი ნება ჩვესხათ ნავში ამდენი ხალხი, რომ შემძლებიყო თავის დაცვა მეკობრეთაგან, რომელნიც ზღვის ნაპირებზედ დადიოდნენ. ერთის საათის ცურვის შემდეგ მივედით ზღვაზედ. ლანგური (ენგური), რომლითაც ჩამოვედით ჩვენ, ჩქარი მდინარეა, მასზედ სიარული ძრიელ ჩქარა შეიძლება, მაგრამ ძრიელი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც ამ წყლით ჩამოაქვთ სავსე ნავები, რადგან აქ მრავალი თხელი ადგილებია, სადაც ნავებს გაჰრიყავს ხოლმე. მრთელი დღე ზღვის ნაპირზედ დავრჩი: ნავის პატრონი შემეხვეწა დავრჩომილვიყავ, რადგან კიდევ ორ მონას მოველოდდა, რომელნიც საღამოზედ უნდა მოსულიყვნენ.

ანარგიაში ყოფნის დროს ორჯელ მიმიწვიეს ნათლობაში. წავედი სანახავად, რომ შემეტყო—როგორ ასრულებდნენ ამ საიდუმლოს სამეგრელოში. მე ვპოვე, რომ მ. ზამპის საკმაოდ მართლა აეწერნა ეს თავის მოხსენებაში. აი როგორ ვნახე ნათლობა იმ ოჯახის ერთ მეზობლისას, სადაც მე ვცხოვრობდი. დილის ათ საათზედ გაჰგზავნეს მღვდლის დასაძახებლად. მოვიდა თუ არა მღვდელი, მაშინვე შევიდა ქოხში, სადაც ღვინოს ინახავენ, ჩამოჯდა სკამზედ და, თავის ჩვეულებრივ ტანისამოსშივე, დაიწყო კითხვა ნახევრად დაგლეჯილის წიგნისა, რომელიც სიდიდით იყო ახალის აღთქმის ტოლა in—8°. ყმაწვილი ჯერ არ იყო მის წინ, როდესაც იმან დაიწყო კითხვა. მამამ და ნათლიამ შემოიყვანეს ყმაწვილი ხუთმეტ წუთის შემდეგ. ეს ხუთის წლის ბაშვი იყო, ნათლიამ მოიტანა ერთი პატარა ღერი წმიდა სანთელი და სამი მარცვალი საკმეველი; აანთო სანთელი და მიაკრა ქოხის კარებზედ. ჯერ ბაშვის მონათვლამდისვე დაიწო ის სანთელი, სხვა სანთელი აღარ აანთეს. სამი მარცვალი საკმეველი დადეს მცირე ცეცხლზედ და დაწვეს. მოძღვარი ამ ხნის განმავლობაში კითხვით იყო გართული. ის კითხულობდა ჩქარა, დაბლა და ძრიელ მცირე ყურადღებით, რადგან ყველას პასუხს აძლევდა, ვინც კი ჰკითხავდა რასმეს. მამა და ნათლია შადი-გადიოდნენ მრთელის ამ ხნის განმავლობაში და აგრეთვე ყმაწვილი, რომელიც ჭამის მეტს არას აკეთებდა. კარგა ხნის კითხვის შემდეგ მოიტანეს თბილის წყლით სავსე ლაგანი. მღვდელმა ჩაასხა შიგ პატარა კოვზით ნიგვზის ზეთი და უთხრა ნათლიას გეეხადნა ბაშვისათვის ტანისამოსი. გახადეს ყმაწვილს და მთლად ტიტველი ჩასვეს ლაგანში. ლაგანში ყმაწვილი ფეხზედ იდგა; ნათლიამ მრთლად დაჰბანა ტანი. როდესაც კარგა დაჰბანა, მღვდელმა ამოიღო ტყავის ქისიდამ, რომელიც იმას სარტყელზედ ეკიდა, ერთი ბეწო მირონი, მისცა ნათლიას და იმან სცხო მირონი ყმაწვილს თითქმის ყველა ასოზედა: ქოჩორზედ, ყურებზედ, შუბლზედ, ცხვირზედ, ლოყებზედ, ნიკაპზედ, მხრებზედ, ნიდაყვებზედ, ზურგზედ, მუცელზედ, მუხლებზედ და ფეხებზედ. მღვდელი კი სულ კითხულობდა და გაათავა კითხვა მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათლიამ ისევ ჩააცვა ბაშვს ტანთა. ყმაწვილს რომ ჩააცვეს, მერმე მამამ მოიტანა პური, ღვინო და ერთი ნაჭერი მოხარშული ღორის ხორცი; ჯერ ყმაწვილს აჭამა, მერმე მიართვა ნათლიას, მღვდელს, სტუმრებს და ყველას ვინც სახლში იყო. ამის შემდეგ ყველანი დასხდნენ სუფრაზედ, სუფრიდან თითქმის არავინ არ ამდგარა ფხიზლად.

გ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

N155

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სიღნაღის მაზრა. ერთს კვირაზე მეტია, რაც ჩვენს მაზრაში კალოობაა. ქერის და პურის მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. პურს უფრო მომეტებული გამოსავალი აქვს. იმისთანა მინდორშიც კი, როგორიც არის საზოგადოდ წინა-მხრის მინდვრები, დღიურს მიწას ოცზე მეტი ათეული ძნა გამოუვიდა. თუმცა მოსავალი ჯერ პურისა ძლიერ უხვია, ხოლო დალოცვილის სიღნაღის ფქვილის მეიდანი ფქვილს მაინც არ აიაფებს. აქ ფქვილი წინანდებურად 1 მ 20 კ-ია ფუთი. ასეთი სიძვირე, იმედია, დიდ-ხანს არ გასტანს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ქერ-პურის მოსავალს სიმინდ-ფეტვის მოსავალიც ზედ მოჰყვა.

წლევანდელმა უხვმა მოსავალმა, თუმცა მთელ მაზრას დაავიწყა წარსულს წელში მოუსავლობის გამო ნაწვნევი შიმშილი, მაგრამ ბედნიერთა შორის უბედურნიც არ გამოილევიან, ნათქვამია.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ სეტყვამ დააზიანა როგორც ს. საქობოს, აგრეთვე მის ახლო მდებარე სოფლების ვენახები. ვენახებზე აგრე რიგად არ დარდობდა ხალხი, რადგან ყვითლად მობიბინე მინდორი იმედს აძლევდა. სხვა სოფლებს იმედი არ გაუმტყუნდა, მაგრამ საქობოელებს კი უბედურობაზე უბედურობა დაერთოთ.

ამ ორის კვირის წინად ს. საქობოს მინდორს მოეკიდა ცეცხლი. ცეცხლი მოედო მოსამკალად შემოსულს ყანას და მთლად გადასწვა. როგორც ადგილობრივის მაზრის უფროსისგან გაგზავნილის მოხელის ლ. რობიტაშვილის ჩვენებიდამ სჩანს, ცეცხლს გადუწვავს ყანა 200 დღიურზე მომეტებული, ასე რომ ზარალი ათას თუმანზე მომეტებულიაო.

სწორედ გულ-საკლავი სანახავი იყო სოფელ საქობოს ხალხი ამ დროს. დიდიან-პატარებიანად პირუტყვებსავით ბღაოდნენ. როგორც შევიტყეთ, მაზრის უფროსს მიუცია იმედი დაზარალებულ ხალხისთვის, რომ მე შემწეობას აღმოგიჩენთო. ვისურვებთ, ეს ხმა გამართლდეს, თორემ, თქვენი მტერი! მთელი სოფელი დიდს გაჭირვებაში ჩავარდება, რადგანაც ორი წელიწადია მოსავალი არ უნახავთ.

ალაზანს გაღმა თთ. ვაჩნაძეების მამულში ძროხაში მომეტებულ ნაწილად თათრები დადიან. მეძროხე თათრებს შორის ერთი მოლაც ბრძანდება. ამ მოლას უებარის ექიმის ხმა აქვს დავარდნილი. იგი სხვა-და-სხვა სატკივრების გარდა, ამბობენ ხალხში, ვითომ გიჟებსაც არჩენსო (?). როგორც ამბობენ, არა ერთი ჭკუაზე შეშლილი მოურჩენიაო. დღეს ჰყავს მოსარჩენად ერთი სიღნაღელი — ჭკუაზე შემცდარიო. არ ვიცით, მოარჩენს თუ არა, მაგრამ ის საშუალება, რომელსაც იგი ხმარობს შემცდარის მოსარჩენად, მეტის მეტი ბარბაროსულია და სასურველია ყურადღება მიაქციოს იმან, ვისიც ჯერ არს. ჭკუაზე შემცდარს აკრავს ხეზე და რაც ძალი და ღონე აქვს სცემს თავ-პირში, ხან ხელით და ჯოხითაც. ცემის დროს ეუბნება უბედურს მსხვერპლს: — თქვი შენი შემლელის სახელიო. ასე უწყალოდ სტანჯავს ავად-მყოფს, უიმისოდაც დატანჯულს ყმაწვილს კაცსა. რატომ არავინ აქცევს ექიმ მოლას საქციელს ყურადღებას, სწორედ გაუგებარია.

ეს ერთი თვეა, რაც ჩვენს მაზრაში დაიწყეს საკომლო სიების შედგენა. როგორც ზოგიერთა ახალ შედგენილის სიებიდამ სჩანს, ძველ საკომლო სიებთან შედარებით კომლთა რიცხვმა საშინლად იმატა. იმ სოფელში, სადაც ირიცხებოდა ძველის საკომლო სიით 500 ანუ 600 კომლი, ახლა ათას კომლამდე აღმოჩნდა. ბევრგან ერთი კომლი ათად არის გაყრილი და ისეთი ოჯახი ხომ იშვიათია, რომ ორ კომლად არ იყოს გასული.

ი. კახელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთის შესანიშნავი მწერალი გლ. ივ. უსპენსკი „Русскія Вѣдомости“-ებში ბეჭდავს წერილებს, რომელსაც ჰქვიან „წერილები გზიდამ“. ბ. უსპენსკი ყოფილა სტამბოლშიაც; თავის მეცხრე წერილში დაწვრილებით ლაპარაკობს, რაც უნახავს ამ ქალაქში და გაუგონია; უყურადღებოდ არა დაუტოვებია-რა. ლაპარაკობს სტამბოლის მყრალს ქუჩების „სანიტარ-ძაღლებზე“.

ბ-ნი უსპენსკი ძაღლებს გაუკვირვებია. სტამბოლის ქუჩები ძაღლებით არის სავსეო; ადამიანი, როგორც ეტყობა, ფეხს ვერ აუქცევსო; ისე ხროვა-ხროვად დადიან ქუჩებში, რომ ყოვლად შეუძლებელია იმათზე არა ვსთქვა-რაო.

> ქუჩები ნაწილ-ნაწილად არიან დაყოფილნიო; ქუჩის ნაწილი ერთის კუთხიდან მეორე კუთხამდე ეკუთვნის ერთს ძაღლების ამქარს. ამათ არ შეუძლიანთ სხვა ქუჩაზე გადასვლა და სხვა ძაღლების ამქრის შეწუხება. თუ რომელიმე მათგანი გაბედავს და სხვის საკუთრებას შეეხება, ვაი იმის დღეს, ზედ შუაზე გაჰფათრავენ. თუ რომელიმე ძაღლი „თავის საკუთარის საქმეების გამო“ წავა მეორე ქუჩისაკენ, მაშინ ის აეტორღიალება რომელსამე გამვლელს; იწურება, თავს-აბრალებს, ფეხებიდამ არა შორდება გამვლელს, რომ თავი გადაირჩინოს ძაღლებისაგან, რომელნიც აქეჩრილნი მისდევენ მას გვერდზე. საბრალო ძაღლი თითქო ეუბნება, მე პატრონს მივდევ „საკუთარის საქმეების გამოვო“ და თქვენი შეწუხება არა მსურსო. ეს ძაღლები რომ არა ყოფილიყვნენ, რა ეშველებოდა ამდენს სიბინძურეს, ამდენს სიმყრალეს? ადამიანის შვილი ვერ გაივლიდა აქაურს ქუჩებში თავისუფლადა ამდენის სიმყრალისა და სიბინძურისაგანაო. ამიტომ მართლა დაურქმევიათ ეს სახელი ძაღლების ამქრისათვის — „კონსტანტინეპოლის სანიტარები“.

როცა უსპენსკი ათავებს ძაღლებზე ლაპარაკს, შემდეგ აღწერს მყრალს ქუჩებს; ხალხის უსაქმოდ და უსაგნოდ ხეტიალს ქუჩა-ქუჩა. ამ სახით აწერილს სტამბოლსა იგი ადარებს პარიჟსა და, რასაკვირველია, დიდს განსხვავებას ჰხედავს მათს შორის.

> იქაც, პარიჟშიაც, — ამბობს უსპენსკი, — იაპონელებს, პერუვანელებს, ევროპიელებს და შავს ხალხს ქუჩები ვერ იტევსო, ერთმანერთში ირევიანო. მაგრამ იქ ცუდად როდი დალაჟუნებენო, იქ ეს სხვა-და-სხვა ხალხები ჭკუას სწავლობენ; რაც თავის სახლში აკლდათ, იქ იძენენ და ითვისებენ. აქ მოქმედობს რაღაც უმაღლესი ძალა, რომელიც იპყრობს ამ აჭრელებულს ხალხს და უყრის თავს ერთის საზოგადო იდეას ქვეშ. სტამბოლში კი, — როგორც ზემოდაც ვსთქვით, — ეს ამოდენა ბრბო სხვა-და-სხვა ჯურისა, სარწმუნოებისა, ხალხოსნობისა დაყიალებენ უსაგნოდ; თვითეული მათგანი თავის-თავზედა ფიქრობს მხოლოდაო.
>
> აქ ამ კონსტანტინოპოლში, ამ ბიზანტიაში, ამ სტამბოლში, თავის დღეში არ გაგივლით თავში აზრი ხალხთა ძმობაზე, იმაზე, რომ ყველა ადამიანი-შვილები ერთს დიდს ოჯახს წარმოადგენენო.

⁂

თავადს ბისმარკსა, „რკინის კანცლერსა“, თურმე უყვარს ცხადი, გარკვეული და მოკლედ გამოკვანძული ლაპარაკი და ამასთან ისეთის შეგნებით, ისეთის კილოთი,

> „რომ წიწილა, რომელიც კი მათის ბრწყინვალების სამზარეულოში გაივლის ხოლმეო, თავის-თავად, ალუშფოთებლად დალევს სულს ამისთანა ლაპარაკის მოსმენითაო: — სიცოცხლეს ის სჯობიანო, რომ შემწვან და საჭმელად მიმართვან ხოლმეო ბისმარკსა.

ეს ამბავი მოყვანილი აქვს თავის «Дневникъ»-ში თავადს მეშჩერსკისა, რომლისთვისაც უთქვამ ვითომ ვიღაც გერმანიელს დიპლომატსა.

იუპიტერი

ამ ცოტას ხანში დასავლეთის მხარეს გამოსჩნდა ძალიან ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომელსაც უწინ ვერა ვხედავდით. ეს მოვლინება, ეჭვი არ არის, მიიზიდავდა იმათ ყურადღებასა, რომელნიც მარტო მწვანე მაუდით გადაკრულს მაგიდას არ შესცქერიან. ვისაც აქვს კარგა ძალოვანი დურბინდი, შეუძლიან ადვილად სცნას, რომ ეს ვარსკვლავი არის ის მთოვარე, ანუ ცთომილი ვარსკვლავი, რომელსაც ლათინურად იუპიტერს ეძახოდნენ. ქართულს ლექსებში ვკითხულობთ ამ ცთომილის ვარსკვლავის სახელებსა: ასპიროზი, ზევსი და კიმკიმელი.

აქ მოვყავს ზოგიერთი ცნობანი ცთომილ ვარსკვლავებზედ, ანუ მთოვარებზედა, თუმცა ეს ცნობები ამ განათლებულს დროში ბევრმა დაწვრილებით იცის.

უწინდელს დროში, როდესაც ჯერ დურბინდები არ იყო მოგონილი, ხალხი ჩვენს ვარსკვლავიანს ცასა სინჯავდა შეუჭურვლის თვალითა და ამიტომ მაშინ მხოლოდ ხუთი ვარსკვლავი ჰქონდათ შენიშნული, რომელნიც სივრცეში დაცურავდნენ უგზო-უკვლოდა, ე. ი. არა ჰქონდათ ერთ-ნაირი და უცვალებელი მსვლელობა, როგორც სხვა მრავალ ვარსკვლავებსა. ეს ხუთი ვარსკვლავი ხან მამდინარეობდნენ დასავლეთისაკენ, ხან თითქო უკლებდნენ მსვლელობასა და ბრუნდებოდნენ უკანა. ამ ნაირის მსვლელობის გულისათვისა ბრძნებმა ამ მნათობებს დაარქვეს პლანეტეს, რომელიცა ნიშნავს უგზო-უკვლოდ მოსიარულეს, გზა-დაკარგულსა. აქედგან ლათინურად ხმარობენ პლანეტასა. ქართველებს გადმოუთარგმნიათ ცთომილ-ვარსკვლავად.

ეს ხუთი ცდომილი ვარსკვლავი, ანუ პლანეტა იყვნენ: მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი და სატურნი. — ქართულს ლექსებში ვკითხულობთ:

მერკური: ერმი, ოტარიდი, ვერცხლის წყალი და ცერანო.

ვენერა: აფროდიტი, მელტავრა, რვალი და სპილენძი.

მარსი: მარიხი, არესი და ჭიმჭიმელი.

სატურნი: კრონოსი და ალბასტრო.

როდესაც დურბინდები შემოიღეს, მაშინ ჰპოვეს: ა) რომ დედა-მიწაც ცთომილი ვარსკვლავია და ისრე უვლის გარშემო მზესა, როგორც მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი და სატურნი; ბ) რომ პლანეტების უგზო-უკვლოდ მსვლელობის მიზეზი იყო თვით დედა-მიწის მოძრაობა; გ) რომ ზემო ხსენებულ პლანეტებთ გარდა მზეს უვლიან გარშემო ურანი და ნეპტუნი, და მის და იუპიტერს შუა არის მრავალი წვრიმალი მთოვარეები (როგორათაც ცერერა, პალადა და სხვა) და დ) ეს პლანეტები ახლავან მზესა და უვლიან გარშემო ამ რიგზედა: პირველი მზის მახლობელი პლანეტა არის მერკური, შემდგომ ვენერა, მერედ მიწა (რომელზედაც ჩვენა ვცხოვრობთ), მას შემდეგ მარსი, მარს მოსდევს მრავალი წვრილი მნათობები, რომელნიც მხოლოდ კარგს დურბინდებში სჩანან; ამათ იქით არიან იუპიტერი, სატურნი, ურანი და ნეპტუნი.

დურბინდების შემწეობით ვარსკვლავთ მრიცხველთა ბეჯითად გამოიანგარიშეს, რომ მერკური მზის გარშემო შემოვლას უნდება 88 დღე (წამს და წუთებს ვტოვებთ); ვენერა $224\frac{3}{4}$ დღე; მიწა $365\frac{1}{4}$ დღე, რომელსაცა ვეძახით წელიწადს; მარსი 687 დღე; იუპიტერი $4,332\frac{1}{2}$ დღე; სატურნი $10,759\frac{1}{4}$ დღე...

როგორც ნაანგარიშევი აქვთ მეცნიერთა, იუპიტერი იმ დროს, როდესაც გარშემო უვლის მზესა, ხან დაუახლოვდება და ხან დაშორდება, ასე რომ დაახლოვების დროსა მანძილი მზიდგან იუპიტერამდისინ შეადგენს $102\frac{1}{2}$ მილიონს მილსა და დაშორების დროსა $112\frac{1}{2}$ მილიონს მილსა, მაშასადამე იუპიტერის ნავალი გზა არ არის კანონიერი წრე, არამედ წრე დაგრძელებული.

აგრეთვე თავის მსვლელობის დროსა იუპიტერი მიწას ხან დაუახლოვდება და და ხან ძალიან დაჰშორდება. მაშინ, როდესაც იუპიტერი ახლო მოვა ხოლმე ჩვენზედა, როგორც ეხლა, მანძილი ჩვენსა და იუპიტერს შორის შეადგენს 82 მილიონს მილსა და როდესაც დაჰშორდება, მაშინ — 133 მილიონს მილსა.

მეცნიერთა ანგარიშიდგან სჩანს, რომ იუპიტერი ყველა პლანეტებზედ დიდია. იმის ეკვატორის დიამეტრი არის 20,000 მილი ე. ი. თერთმეტჯერ დიდია დედა-მიწის დიამეტრზედა. სიდიდით იუპიტერის მომდევნოები არიან: ჯერ სატურნი, მერე ნეპტუნი და ბოლოს ურანი. ვენერა თითქმის დედა-მიწის ოდენაა, მარსი ბევრით პატარაა ამათზედა, მერკური კი ჩვენის მთვარის ოდენა ძლივს გამოვა.

ძლიერის დურბინდების საშუალებით ნახეს, რომ იუპიტერს გარშემო არტყია შავი ზოლ-ზოლი სარტყელი. ამ შავის ლაქების შენიშვნით გამოიანგარიშეს, რომ იუპიტერი ტრიალებს თავის ღერძზედ საკვირველის სიჩქარითა. მაშინ, როდესაც დედა-მიწა მოტრიალდება ხოლმე თავის ღერძზედა 24 საათის განმავლობაში, იუპიტერი ამავე მოტრიალებას უნდება 9 საათი და 55 წამი. დღეთა და ღამეთა ჟამი, თანასწორი რომ იყვეს, გამოდის, რომ იუპიტერზედ დღე იქმნება მხოლოდ 4 საათი და $39\frac{1}{2}$ წამი.

ვისაცა ჰსურს დარწმუნდეს, რომ ამ ჟამად გამოჩენილი ცთომილი ვარსკვლავი არის იუპიტერი და არა სხვა რომელიმე მნათობი, უნდა იშოვოს ძალოვანი დურბინდი და ნახავს, რომ იუპიტერს ახლავან გარშემო ოთხი მთვარე. ორი მათგანი ძალიან ახლოა, როგორც იუპიტერზედა, ისრე ერთი ერთმანერთზედაცა, მესამე დაშორებულია ერთ ნახევარჯელა და მეოთხე სამჯერ შორს არის, ვიდრე პირველი მთვარე. — ასე: იუპიტერის რადიუსი რომ მივიღოთ საზომად (ამასთან ნაწევრები რომ დავუმატოთ), მივიღებთ:

1	მთვარემდინ	9	რადიუსსა
2	—	10	—
3	—	15	—
4	—	27	—

მ. ზ. ყიფიანი

ვლადიკავკაზი.

უცხოეთი

გერმანია. პოლშური გაზ. „Chwila“ შემდეგ უცნაურს და მიუხდომელს ამბავს იწერება: პრუსიის აღმოსავლეთ სამზღვრებზე არა-ჩვეულებრივი მოძრაობაა ჯარებისაო. 1, 2, 5 და მე-6 კორპუსებს ჯარები აღმოსავლეთის სამზღვარზე გადმოიყვანეს და იმ ადგილას კი, სადაც წინად ესენი იდგნენ, სხვა ჯარები ჩააყენესო. ამ სახით უმეტესი ნაწილი ნემეცების ჯარებისა ეხლა აღმოსავლეთის სამზღვარზე, ეს საქმე პრუსიამ ისე ჩუმად მოახერხა, რომ ბევრს ვერც კი გაუგია, ამოდენა ჯარმა აქ როგორ მოიყარა თავი ასე ერთბაშად. რას მოასწავებს ეს ამბავი, ვერ ვიტყვითო, ამბობს გაზეთი, და ამაში კი ეჭვი არ არისო, რომ პრუსიის სამხედრო სამინისტრო დიდის ყურადღებით ადევნებს თვალს აღმოსავლეთის სამზღვრებს და თუმცა ისეც დიდ-ძალი ჯარია აქ თავ მოყრილი, მაგრამ მაინც კიდევ გაიძახის, საკმაოდ არა გვყავს აქ ჯარიო. ისე წელი არ გაივლის, რომ სამინისტრომ პარლამენტს ფული არა სთხოვოს ჯარების გაძლიერებისათვის აღმოსავლეთ სამზღვრებზე.

* * *

ინგლისი. ეხლა ეჭვი აღარავისა აქვს, რომ გლადსტონმა საქმე წააგო, ინგლისის ამომრჩეველების უმეტესმა ნაწილმა გლადსტონს უმტყუნა, ირლანდიას თვით-მმართველობა ჯერ ვერ ეღირსა. გლადსტონის დამარცხებას გამოჩენილი ირლანდიელი ოკკონერი, პარნელის მარჯვენა ხელი, იმას აწერს, რომ კონსერვატორებს უფრო კარგად აქვსთ არჩევანები, საქმე მოწყობილი, ვიდრე ლიბერალებსაო, კონსერვატორები უფრო მხნედ და ერთგულად მოქმედებენ, ვიდრე ლიბერალებიო. გლადსტონის დამარცხების მიზეზად, გარდა ამისა, კიდევ ისიც უნდა ჩაითვალოსო, რომ ამომრჩევლების უმეტესს ნაწილს არ ესმის, რაში მდგომარეობს «ირლანდიის საქმეო», ვერ გაუგია, რას თხოულობს მათგან გლადსტონიო.

— დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაო, უთქვამს ოკკონერს, რომ ირლანდიელებს ასიდამ ოთხმოც-და-შვიდმეტს გლადსტონის მხარე ეჭირათ და ამ სახით თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე პატიოსნად შეასრულესო. — «ირლანდიის საქმე» სამუდამოდ არ დამარცხებულა, ხოლოდ დროებით დაყონდა, შეფერხდაო და ბევრი დრო არ გაივლის, რომ ჩვენი მართალი საქმე უთუოდ გაიმარჯვებსო.

— თუმცა ეხლა ყველა დარწმუნდა, რომ არჩევანმა გლადსტონს უმტყუნა, მაგრამ ამერიკელი ირლანდიელები კიდევ დიდ-ძალს ფულს უგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავნიან პარნელს ირლანდიის საქმეებზე მოსახმარებლადა.

* * *

ოსმალეთი. გაზ. „Daily news“-ს შემდეგს ამბავსა სწერენ სტამბოლიდამ: «ოსმალეთს 80,000 ჯარის კაცი ჩაუყენებია მაკედონიაში. ოსმალეთს, როგორც ფიქრობენ, ეს ჯარი იმიტომ ჩაუყენებია აქ, რომ ავსტრი-ვენგრიას ყური ადევნოსო. ოსმალეთს მიუწერია სერბიისთვის: შეგვატყობინეთ, რა განზრახვა გაქვთ, რომ ოსმალეთის სამზღვრებზე დიდს ჯარებს თავს უყრითო.

— ვენის გაზეთების სიტყვით, სტამბოლში ყველა ბოლგარიის გაზეთები და თვით ოფიციალური „Державный Вѣстникъ“-იც კი აღკრძალულია.

* * *

რუსეთი

— ფიუმეში ხოლერაა ამ ჟამად გაჩენილი. ამის გამო ოდესის გენერალ-გუბერნატორმა კარანტინი დააწესა ყველა უცხოელთა გემებთათვის.

— 1 ივლისმა ბევრს აუჩქარა გულის ცემა. ამ რიცხვს შუადღისას გარდასწყდა ბევრის ბედ-იღბალი. ბევრს ერგო ამ დღეს საჩუქრად 200 000, 70 000, 40,000, ან 25,000 მანათი. ის კი უნდა შევნიშნოთ, რომ ბედი როგორღაც არა სწყალობს პეტერბურგელებსაო, ამბობს გაზეთი „Нов. Вр.“, ამ უკანასკნელ წლებში უმთავრესნი მოგებანი 5%-იანის ბილეთებისა 1 და 2 სესხისა უმეტესად ოდესელებსა ხვდებათო. მაგალითებრ, 2 იანვარს 1881 წელს 75,000 მანეთი ერგო საწყალს მადლინის პოლკის კაპიტანს ოდესაში. სწორედ ამ დროს კაპიტანი ერთ უმზითვო ქალზედ ჯვარს იწერდა და ეს ფული მზითევივით ერგო. 1882 წლის 2 იანვარს 75,000 მანათიანი მოგება ჰხვდა ოდესელ ნემეცს ფრიცსა. ამავე წლის 1 მარტს 25,000 მან. მოგება ჰხვდა ვიღაც ზაგორიანსკის ოდესში მყოფს. ამ ბედნიერ წელიწადს ოდესისთვის 1 სექტემბერს უმთავრესი მოგება 20,000 მან. ერგო მოქალაქე შოკინს. უბრალო მეწვრილმანეს ქ. ოდესაში. შემდეგ 1 სექტემბერს 1883 წელს 10,000 მანათიანმა მოგებამ სრულიად გაბედნიერა ერთი ვიღაც უსინათლო, თითქმის მთხოვარა გლახა, გავრილოვი. დასასრულ, წარსულ წელს 8,000 მანათიანი მოგება ჰხვდა ერთის სავაჭრო სახლის მოხელეს კობილიანსკისა.

— ციხეში ნამყოფთა და შემდეგ გამოშვებულთ ბედი სწორეთ რომ დამაფიქრებელია. უმეტესს ნაწილად ციხიდგან გამოსულთ საზოგადოება არ ეკარება, ზიზღით უყურებს, მათ ველარ ენდობა. გამოცდილი ავაზაკები ყოველთვის იმას ჩასჩიჩინებენ გამოუცდელთ, რომ ხალხის პატიოსნება ნუ გჯერათო. „დაგვერწმუნე, რომ სისულელეა პატიოსნებაო. ჩვენისთანა ხალხს არავინ არ იკარებს, ან უნდა ბრბო შევადგინოთ და შარა გზაზე ცარცვა დავიწყოთ და ან შიმშილით დავიხოცნეთო.“ ხშირად არის ხოლმე, რომ ერთხელ რაზედმე შემცდარა კაცი, დაუტუსაღებიათ, ციხიდგან გამოსვლის დროს ის სურვილი გამოუტანია თან, რომ ამის შემდეგ პატიოსნად გაეტარო ჩემი ცხოვრებაო და აი ამ დროს საზოგადოება ხელსა ჰკრავს, არ იკარებს, ჩვენის საშუალებას არ აძლევს და იძულებულსა ხდის ხელ-ახლად ავაზაკობას მიჰყოს ხელიო, ამბობს გაზ. „Русс. Кур.“-ი

ამისთანა სამწუხარო მდგომარეობამ ციხიდამ გამოშვებულებისამ მიიქცია რუსეთის საზოგადოების ყურადღება და პეტერბურგში ე. ე. ვოგანოვისის მოთაოსნობით დაარსდა საზოგადოება ციხიდამ გამოშვებულთა მცირე-წლოვანთა შემწეობისთვის. ახლა პეტერბურგისთვის მოსკოვსაც მიუბაძავს და იქაც დაუარსებიათ ამ გვარი საზოგადოება.

— პიატიგორსკში ამ წელს ძალიან ბევრი ხალხიაო, სწერს «Нов Тел.» აქამდე პიატიგორსკში მოსულთ პირთ რიცხვი 2,500 სულამდეაო. სადგომების ფასები და საჭირო ხორაგეულობისა ძვირი არ არის. ყოველ-წლივ უფრო სიაფე ვარდებაო აქა. მაგალითებრ, ესენტუკში, ჟელეზნოვოდსკში და აგრეთვე კისლოვოდსკში 20—25 მანათად რიგიანს ოთახს დაიჭერთო გირვანქა ხორცი 8—10 კაპეიკიაო, პური გირვანქა 4—6 და სხ. ამიტომაც სადილი სამ ნაირის საჭმლით სულ 18—24 მანეთზე მეტი არა ჯდება თვეში და ორ-ნაირის საჭმლით-კი 12—15 მანათი პატარა სახლობა—3—4 სული 100—120 მანათად მშვენივრად იცხოვრებს აქ თვეში და მარტო ხელს-კი 60—75 მანათზე მეტი არ დაუჯდება. ამ უკანასკნელს დროს კავკასიის წყალზე მაღალ-წოდების პირნი ბევრი მოგროვილან. მაგალითებრ, ამ ჟამად აქ არიან თავად დონდუკოვ-კორსაკოვი, უწმინდესის სინოდის ობერპროკურორი პობედონოსცევი, სამხედრო მინისტრი გენ. ვანნოვსკი. ამ დღეებში მოელიან აგრეთვე კიევის გენარალ-გუბერნატორს დრენტელნს და კიევის მიტროპოლიტს პლატონსაო.

* * *

დეპეშა

7 ივლისს

ეკატერინოდარი. დღეს გაიხსნა ნოვოროსიის რკინის-გზა, რომელიც გაყვანილია როსტოვო-ვლადიკავკაზის რკინის-გზის ტიხორეცკის სადგურიდამ ეკატერინოდარამდე.

ნიში. დღეს კოროლმა სკუპშჩინა შეჰკარა და სეფე-სიტყვა სთქვა: რომ დავიცვა და უზრუნველ ვყო ჩემი სამშობლოს ინტერესებიო, დავადგები ობრენოვიჩების პოლიტიკასაო და თვით ერის სურვილსაო. როგორც ბოლგარია გვიყურებს მტრის თვალით, ჩვენც ისე მოვექცევითო. გულსადებ საქვეყნოდ მადლობას ერსა ერთსულობისათვის და ჯარსა იმ მხნეობისათვის, რომელიც სამსახურის დროს შესწირა სამშობლოსა და კოროლსა. შემდეგ სთქვა: თუმცა ჩვენმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და სერბიამ სხვათა სახელმწიფოთა სურვილით შეჰკრა ბოლგარიასთან ზავი, ხოლო ხალხის ერთსულობა ცხადად ამტკიცებს, რამდენად ყურმახვილია სერბია, რომ სახელმწიფოება დაიცვას და რამდენად მზაა იგი წინააღმდეგობა გაუწიოს იმათ, ვინც ბალკანის ნახევარ კუნძულზე თანასწორობას ხელს უშლისო. სეფე-სიტყვა ბოლოს ამით გაათავა, რომ სერბიისა და ბოლგარიის შორის ისეთი განწყობილებაა დღეს, როგორიც ომის წინად იყოვო; ევროპის სახელმწიფოებთან კი მეგობრული განწყობილობა გვაქვსო. და შემდეგშიაც განსაკუთრებით იმაზე ვიზრუნებ, რომ ეს განწყობილობა არ მოიშალოსო.

რუშჩუკი. ბოლგარიის ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონ-პროექტი სამხედრო საჭიროებისათვის სესხისა; ამაზე თანხმობა არ განაცხადა ოპოზიციამ, რომლის წევრნი კრებიდამ გავიდნენ.

გუშინ გადასწყვიტეს გამოისყიდონ რუშჩუკ-ვარნის რკინის-გზა 44½ მილიონ ფრანკად; ხოლო კანონ-პროექტი ამაზე კრებაში არ იყო შეტანილი, რადგანაც სრული რიცხვი არ იყო დეპუტატებისა.

რუმელიის დეპუტატები სოფიიდამ მიდიან.

8 ივლისს.

პეტერბურგი. ხელ-ახლად ნება მიეცათ ცალკე ნომრების გაყიდვისა „Русскія Вѣдомости“-ებსა და „Современныя Извѣстія“ სა.

5-ს ივლისიდამ ბესარაბიის განყოფილებანი საგლეხო და სათავადაზნაურო ბანკისა გაიხსნა.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჩო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

9 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. პანკრატისა და კირილესი. ფრანგთა. ანატოლიისა და კირილლე ეპისკ. სომეხთა მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—8. ტფილისში მზე ამოდის 4—43, ჩადის 7—20. მთვარე ამოდის 10—25, ჩადის 9—19.

10 დღე ხუთშაბათი. 45 მოწ. ნიკოპოლისა. ფრანგ. ფელიციტისა და ამალიისა; VII ძმ. მოწ. სომეხ. წმ. ელისე წინ.-მეტყვ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—10. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—28; მთვარე ამოდისდის 55, ჩადის 10—17.

11 დღე პარასკევი. წმ. ქალწ.-მოწ. ეფემიასი; ფრანგ; წმ. მოწ. პელაგიასი და იოანნასი. სომეხ. მარხვა. მესულ. მე-42 ჯუმა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—12; ტფილისში მზე ამოდის 4—45, ჩადის 7—27. მთვარე ამოდის 11—25, ჩადის 11—14.

12 დღე შაბათი. წმ. მოწ. იოანესი, ევთიმესი და გაბრიელისა; ფრანგ. იოანნე, გვალბერტისა, ფელიქსისა და გილიარისა. სომეხ. 12 მოციქულ. და წმ. პავლე მოციქულ.

ტფილისში გაიხსნა საფოსტო განყოფილება 1849 წ. აფხაზეთში დამკვიდრდა რუსის მთავრობა 1864 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—14; ტფილისში მზე ამოდის 4—46, ჩადის 7—26; მთვარე ამოდის 11—59, ჩადის 12—13.

13 დღე კვირა. კრება გაბრ. მთავარანგელოზისა;—ფრანგ. მოწ. მარგარიტასა და ანაკლეტასი. სომეხ. ალების-ღამე ვარდავარის (ფერის-ცვალების) მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15; ტფილისში მზე ამოდის 4—47, ჩადის 7—25; მთვარე ამოდის 12 საათ. ჩადის 1—12.

14 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. აკილას, ონისიმესი და სტეფანესი. ფრანგ. ეპ. ბონავენტურისა და ქალწ. იუსტიანესი. სომეხ. 1 დღე ფერის ცვალების მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15. ტფილისში მზე ამოდის 4—48, ჩადის 7—24. მთვარე ამოდის 12—35, ჩადის 2—15.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის გარისხისა	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ ›
მე-2 ხარისხისა	3½ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი	7 ›

* * *

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილ შუა

სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამ.	საათ.	წამ.
	დილით			
ტფილისი	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55
მცხეთა	9	13	9	21
ქსანი	9	39	9	41
კასპი	10	6	10	9
გრაკალი	10	29	10	31
გორი	10	54	11	4
ქარელი	11	33	11	36
გომი	12	—	12	4
ხაშური	12	21	12	41
სურამი	12	53	12	56
ფონი	1	24	1	27
ბეჟათუბანი	2	14	2	34
მარელისი	3	3	3	5
ბელაგორი	3	32	3	35
ძირულა	4	2	4	5
ყვირილა	4	43	4	58
აჯამეთი	5	35	5	37
	საღამოთი			
რიონი	5	49	6	4
კოპიტნარი	6	34	6	36
სამტრედია	6	56	7	16
საჯავახო	7	31	7	33
ნიგოითი	7	56	7	59
ლანჩხუთი	8	10	8	14
სუფსა	8	47	8	55
ნატანები	9	19	9	22
ქობულეთი	9	48	9	51
ბათუმი	10	41	—	—

სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამ.	საათ.	წამ.
	დილით			
ბათუმი	—	—	8	35
ქობულეთი	9	25	9	28
ნატანები	9	54	9	57
სუფსა	10	21	10	27
ლანჩხუთი	11	—	11	3
ნიგოითი	11	14	11	16
საჯავახო	11	39	11	41
სამტრედია	11	56	12	15
კოპიტნარი	12	35	12	37
რიონი	1	7	1	20
აჯამეთი	1	32	1	34
ყვირილა	2	11	2	26
ძირულა	3	4	3	6
ბელაგორი	3	33	3	36
მარელისი	4	3	4	5
ბეჟათუბანი	4	34	4	54
ფონი	5	41	5	44
	საღამოთი			
სურამი	6	12	6	15
ხაშური	6	27	6	42
გომი	6	59	7	3
ქარელი	7	27	7	30
გორი	7	59	8	9
გრაკალი	8	32	8	34
კასპი	8	54	8	57
ქსანი	9	22	9	24
მცხეთა	9	42	9	48
ავჭალა	10	6	10	8
ტფილისი	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით			
ტფილისი	—	—	3	15
ავჭალა	3	38	3	41
მცხეთა	4	6	4	16
ქსანი	4	42	4	45
კასპი	5	20	5	25
გრაკალი	5	53	5	56
	საღამოთი			
გორი	6	28	6	43
ქარელი	7	24	7	29
გომი	8	3	8	7
ხაშური	8	31	8	46
სურამი	8	58	—	—

	ღამით			
სურამი	—	—	2	35
ხაშური	2	47	3	2
გომი	3	26	3	31
ქარელი	4	5	4	12
გორი	4	53	5	8
გრაკალი	5	40	5	45
	დილით			
კასპი	6	13	6	19
ქსანი	6	54	6	57
მცხეთა	7	23	7	33
ავჭალა	7	58	8	1
ტფილისი	8	24		

Дозволено цензурою Тифлисъ 6 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.